Honorary Doctor

არტურო ჩერბოვსკი ლასკი

არტურო ჩერბოვსკი ლასკს აქვს მექსიკის უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის 20 წელზე მეტხნიანი გამოცდილება. თავისი კარიერიდან გამომდინარე, იგი პროფესიონალია უმაღლესი განათლების სფეროში, საგანმანათლებლო ინოვაციებში, ინტერნაციონალიზაციასა და აკადემიურ მობილობებში.

მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ფორუმებში, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ მექსიკაში საგანმანათლებლო სივრცისა და საზოგადოების განვითარებაზე.

ის იკავებს სანტანდერის უნივერსიტეტების აღმასრულებელი დირექტორის და მექსიკის უნივერსიტეტების გაერთიანების გენერალური დირექტორის პოზიციებს.

არტურო ჩერბოვსკი ლასკი ხელმძღვანელობს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ უნივერსიტეტებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებას სწორი ღირებულების შეთავაზებით, როგორებიცაა: მეწარმეობის ხელშეწყობა, საუკეთესო პრაქტიკის შექმნა საგანმანათლებლო ინოვაციისთვის. სასტიპენდიო პროგრამების გარდა, კათედრების, ერთობლივი პროექტების და ფინანსური მომსახურების შეთავაზებას საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის.

არტურო ჩერბოვსკი ლასკი დაიბადა მეხიკოში და მიიღო პოლიტოლოგიის ბაკალავრის ხარისხი ბერკლის უნივერსიტეტში, ამერიკის შეერთებული შტატები (University of Berkeley, USA), ხოლო მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი კი იელის უნივერსიტეტში, ამერიკის შეერთებული შტატები (Yale University, USA).